# მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დასდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

**№ 19** **1883—1893** 15 ოქტომბერს.

გაზეთის ფასი:

| «მწყემსი» | | «მწყემსი» რუსული გამოცემით | |
|---|---|---|---|
| 12 თვით . . . | 5 მან. | 12 თვით . . . | 6 მან. |
| 6 — . . . | 3 — | 6 — . . . | 4 — |

ფულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით: *Въ Квирилы, въ редакцію „Мцкемси“ и „Пастырь“.*

ყველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელნიცა იქმნებიან დასაბეჭდავათ გამოგზავნილნი ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.

სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულს ენაზედ დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

## ვაი თქვენდა, ფარისეველნო და თვალმაქცნო!

სათეატრო ხელოვნებას ჰყავს არტისტები, რომელნიც დიდის წარმატებით მოღვაწეობენ, ანუ უკეთა ვთქვათ, თვალმაქცობენ მთელი თავისი სიცოცხლე სათეატრო სცენაზე; ისინი ხშირად გვიხატვენ სხვა და სხვა ჯურის ადამიანებს, სხვა და სხვა ერთი მეორის წინააღმდეგ ვნებათა და მისწრაფებათა, თუმცა ნამდვილად კი, შესაძლებელია, არა ვითარი ამაების მსგავსი არა ჰქონდესთ რა ამ თვალმაქცთა. მაგრამ ყველა ესეები ჩვენში ამ პირთა შესახებ ჰბადავენ განცვიფრებას, მადლობას და თანაგრძნობას, ვინაიდგან ისინი თავიანთი ხელოვნური და თვალსაჩინო დახატვით ცხოვრებისა და მაღალი იდეალებისა ალამაღლებენ და ავითარებენ თვით ცხოვრებას. მაგრამ ვერ წარმოიდგენთ, რამდენათ საზიზღარია და გასაკიცხი ის პირი, რომელიც ამ თვალმაქცობის ნიჭით ბოროტმოქმედებს, პირ-და-პირ თავისი ცხოვრების ხელობად ხმარობს მას და არა სათეატრო სცენაზე, თვალ და თვალ ატყუებს ყველას, ვინც უნდა იყოს,—ასე გასინჯეთ, იმათაც კი უბამს თვალს, ვინც ლარბაისელ და განათლებულ კაცად ითვლება, მაგრამ ჯერეთ კიდევ მწარე გამოცდილებას კი ვერ უსწავლებია მათთვის ასეთი კაცების გამოცნობა. ამისთანა კაცებს ჩვეულებრივ ცხოვრებაში ვეძახით პირმოთნეთ და ფარისევლებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო სარწმუნოების მხრით ფარისევლებს და თვალთმაქცთ. ჩვენის აზრით ორივე ამ ჯურის პირნი ერთნაირათ საზიზღარნი და საზარელნი არიან,—მაგრამ ფარისევლობა და სარწმუნოებრივი თვალმაქცობა შეადგენენ კაცის დიდ ნაკლულევანებას და უბედურებას. დაუკვირდით კარგად ფარისეველს და თვალმაქც კაცს, რომელიც თავის თავად არარაობას წარმოიდგენს, მაგრამ სულ სხვანაირად გიჩვენებსთ თავს. იმას ხშირად ხედავთ ეკკლესიაში,—აქ ის სდგას მოწიწებით, პირჯვარს იწერს, ლოცვილობს, მუხლს იყრის, აღაპყრობს ხელთ ზემოდ, შედის საკურთხეველში, რადგან თავის თავი სხვაზე უფრო ღირსეულად მიაჩნია, იძლევა შენიშვნას, რაიმე საყვედურს უცხადებს ან მკითხველს და ან მგალობელს, იძლევა შენიშვნას, რომ რიგიანად არ რეკენ და სხვანი. მიდიხართ ამ პირთან და იწყებთ მასთან საუბარს და თქვენდა გასაოცებლად ამ კეთილ მოწიწე პირისაგან ისეთი საზიზღარი სიტყვები გესმისთ, რომელსაც თვით ურწმუნო კაცისაგანაც კი ვერ გაიგონებთ. ვთქვათ, ჩამოვარდა ბაასი რომელიმე მონასტრის, ანუ ეკკლესიის განახლებასა და გამშვენებაზე, იგი ყველაზე პირველად გარბის ხალხში და ჰკრებს კეთილმნებლობითი შესაწირავს ამ კეთილი საქმისათვის, მაგრამ იქონიეთ სახეში, რომ უმეტეს ნაწილს ამ შეკრებილი ფულებისას ის თავის ჯიბეში იდებს და მცირე ნაწილს კი ხმარობს ზემოთ აღნიშნული საგნებისათვის. ასეთი პირი მუდამ ჰქადაგებს კეთილ ცხოვრებასა და მაღალ ზნეობაზე და ცდილობს თავის თავი ყველას ისე უჩვენოს, როგორც განდეგილი და რომელიმე წმიდა მამა; მაგრამ ყველასათვის ცხადია, თუ როგორი წმიდა ცხოვრების მექონეც ბრძანდება თვითონ. იგი ცდილობს გაჩვენოსთ თავის თავი, როგორც ქველმოქმედი, მორჩილი და საზოგადო კეთილის მყოფელი, მაგრამ ნამდვილად კი იგი არის შურისმეძიებელი, ყოველივე განხეთქილების მთესველი საზოგადოებაში, ავად მახსენებელი და შემარცხვენელი თავის მოყვასის და მრავალი პატიოსან მოღვაწე პირთა. ერთი სიტყვით, ამ პირთა სიტყვა და საქმე არას დროს ერთი ერთმანერთს არ ეთანხმებიან, ამისთანა პირების გარეგანი მოქმედება და საქციელი სრულებით არ ეთანხმება მათ შინაგან გულის აზრს და სულის კვეთებას.

კიდევ მადლობა ღმერთს, რომ ასეთნი პირნი ცოტანი არიან, მაგრამ ამ მცირე რიცხვში ძლიერ თვალსაჩინოდ შესანიშნავია ერთი კაცი, რომელიც, ჩვენდა სამწუხაროდ, **დიპლომითაც** კია აღჭურვილი. კაი ხანია, რაც ეს კაცი თვალთ-მაქცობს საზოგადოებაში. ჩვენი სასულიერო წოდების ზოგიერთი გვამნი დიდის მოწიწებით და პატივისცემით შეჰყურებდენ ამ თვალმაქცს, როგორც ყოვლად შემძლეს და მოელოდენ მისგან მფარველობას და სამსახურში დაწინაურებას. ეს თვალმაქციც მოხერხებულად იჭერდა თავს და ყოველივე ღონეს ხმარობდა, რომ თავის **თაყვანისმცემლები** მოეტყუებია. გიერთებს იქამდის აუხვია თვალები ამ ფარისეველმა, რომ მას უწოდეს საქართველოს ტაძრების განმაახლებელი და გამამშვენებელი. მართალია ამ თვალმაქცმა შესწირა ზოგიერთ ჩვენს ტაძრებს და მონასტრებს თავისი სახელით ზარები, ხატები, შესამოსლები და ლუსკუმები წმიდანების ნაწილთა ჩასასვენებლად; მაგრამ ყოველივე ეს შეწირულება მას მოპოებული ჰქონდა კეთილმნებელ შემწირველთაგან. ამ თვალმაქცმა გაიგო, რომ რუსის საზოგადოება გულუხვ შესაწირავს იძლევა ტაძრების და მონასტრების სასარგებლოდ და მანაც საკმაოდ ისარგებლა და დღესაც სარგებლობს რუსის საზოგადოების ამ საქებური მოქმედებით, იგი ჰკრებს მათში დიდ ძალ შეწირულებას, რომლისაგან ძლიერ მცირე ნაწილს ხარჯავს დანიშნულებისამებრ და იმასაც საკუთარის სახელით! ეს კაცი მუდამ ჰქადაგებს, რომ მონასტრებსა და ტაძრებში დაცულ იქმნენ საღმრთო სამკაულნი და ხატები, რომელთაც დიდი და დაუფასებელი მნიშვნელობა აქვსთ არქეოლოგიისათვის, მაგრამ, როცა მოხერხებული დრო უშოვია, თვითონ ამ თვალ-მაქცს წაუღია ჩვენი ტაძრებისა და მონასტრებისაგან ძვირფასი ხატები, ნივთები და სიგელები, რომელთაც ჰქონებიათ დიდი არქეოლოგიური მნიშვნელობა და ყველა ეს ნივთები თავის სახელით უჩუქებია სხვა და სხვა პირებისთვის, ან თავის სასარგებლოდ მოუხმარია. ზოგიერთ მონასტრებში მოუშლია შესანიშნავი კანკელები და ნაცვლად სხვა დაუდგამს, ვითომც და განუახლებია და ხატებზე თავისი სახელი და გვარი დაუწერია, თითქო თვითონ დაეხატოს მას ეს ხატები...

ბევრი შესანიშნავი წიგნები და ხელთნაწერები აქვს ამ კაცს წაღებული ჩვენი მონასტრებისა და ტაძრებისაგან; დღეს კი ამ წიგნებიდამ და ხელთნაწერებიდგან ზოგს სწირავს ადგილობით საზოგადო დაწესებულებათა სასარგებლოდ და ამ წიგნების და ხელნაწერების ფურცლებზე ეს თვალ-მაქცი აწერს ისეთ რამეებს, რაც ჩირქსა სცებს

ზოგიერთ საზოგადო მოღვაწეთ, რომელნიც ჯეროვანად ამხილებდნენ ამ ფარისეველს. ერთ ჩვენს მონასტერში არის ერთი ლუსკუმა, რომელიც მოპოვებულია მოსკოველების შეწირული ფულებით; ამ თვალმაქცს კი აი რა დაუწერია ამ ლუსკუმაზე: «ეს ლუსკუმა შემოსწირა ამ მონასტერს ღვთის მონამ, (სახელი და გვარი), რომელიც იმყოფება ექსორიობასა შინა». ყველას შეჩივა ეს კაცი, რომ ის სიმართლის გულისათვის არის გაძევებული, რომ იგი მზად იყო მფარველობა გაეწია საქართველოს მონასტრებისათვის და სხ. მაგრამ ამ კაცს რომ კარგად იცნობდნენ, მაშინ იმას მოსკოვში კი არ გაგზავნიდნენ, არამედ ამ სატახტო ქალაქიდამ უფრო მოშორებით გააძევებდნენ.

ეს თვალმაქცი დიდი მოხერხებული პოლიტიკია: საქართველოში იგი თავის თავს უწოდებს საქართველოს მამულის შვილს **ივერიელის** სახელწოდებით, რუსეთში კი რუსის **პატრიოტად** ირიცხავს თავს, მაგრამ, ჩვენის აზრით, უკეთესი იქნებოდა, რომ იგი თავის თავს სპარსელს უწოდებდეს, რადგან უფრო სპარსელების ტრადიციის მიმდევარია...

ეს თვალ-მაქცი არ კმარობს იმ გაიძვერაობას და მტაცებლობას, რომელიც ზემოდ მოვიხსენიეთ. იგი ხელოვნურად სწერს სხვა-და-სხვა საზიზღარ დაბეზღებითი წერილებს. ამ წერილებში იგი მოხერხებულად სწერს, რომ მან დიდი სარგებლობა მოუტანა ჩვენს მონასტრებს და დაიფარა იგინი გაძარცვისა და გაგლეჯისაგან. შემდეგ ამხილებს ამ მონასტრების გამგეთ, რომელთაც ვერ დაიმსახურეს ამ გაიძვერა პირის ყურადღება და აბრალებს მათ სხვა-და სხვა ძვირფასი ხატების და სამკაულების მოპარვას.

მაგრამ რომ საზოგადოებას თვალები აუხვიოს, ეს თვალმაქცი ამ საზიზღარ წერილებს ჰგზავნის საქართველოში და აქედგან ეს **დანოსები** ეგზავნებათ სხვა-და-სხვა საპატიო პირთ, თითქო ამ წერილების დამწერნი იყვნენ ქართველები, რომელთაც სრულებით არაფერი არ იციან ამ საზიზღარი წერილების შესახებ.

სიმართლე მოითხოვს, რომ, პირველად, ამ კაცის სახელი და გვარი წაიშალოს ზემოთ აღნიშნულ ხატებზე და ლუსკუმებზე ეკკლესიებში და ტაძრებში, მეორედ, ნება არ ექნეს ამ კაცს მიითვისოს სხვისი საკუთრება, და მესამედ, გასწორდეს ის ცვლილება, რომელიც ამ გაიძვერა კაცს მოუხდენია ერთი მონასტრის კანკელზე და ბოლოს, ყურადღება ნუ ექნება მიქცეული ყველა მის საზიზღარ დაბეზღებითი წერილებს...

დეკ. დ. ღამბაშიძე.

## ბათუმის სამზრუნველო კომიტეტის გამო *).

თავად-აზნაურობა სისტემატიურად ეჩვეოდა ბალებს, ვეჩერებს, მასკარადებს. განსაკუთრებით 1850—60 წლებში გახშირეს ეს თავ-დასავიწყებელი მხიარულობა. ამა დროს ახალთაობა დაგვებადება; იგი აღმოცენდა მაშინდელ ევროპის ურწმუნოებაზედ. იმათ ეკკლესია არაფრად ეპიტნავებოდათ; მდაბიო ხალხი, ესე იგი გლეხობა, მემასკარადე მებატონებისაგან განადგურებული და შევიწროებული, უცბად თავისუფალი გახდა, ნაბატონართან ერთად ყველა წოდების კაცი თავის მტრად დასახა. განხეთქილება ჩამოვარდა თავად-აზნაურ—«ახალ-თაობასა», სამღვდელოებასა და ხალხს შორის. ძმობა, ნდობა სიყვარული, ერთობა ვიღას ახსოვდა, ყველა ერთმანერთს ზიზღით უყურებდა.

მაგრამ ყველაზე უფრო კიდევ ზიზღითა და ეჭვის თვალით დაიწყო ყურება მდაბიო ხალხმა, გლეხობამ. ჯერ იყო და უწინდელი მამაშვილური დამოკიდებულება გლეხსა და თავადს შორის ამ საუკუნეში ნამდვილ ბატონ-ყმობად შეიცვალა, გლეხი პირუტყვად გადაიქცა, რომელიც შეეძლო ბატონს, თუ უნდოდა შეეწვა კიდეც. განთავისუფლდა გლეხი, მაგრამ ნაბატონარმა ტყეებსა და მინდვრებში აღარ შეუშვა. წინათ გლეხი ტყე-მინდორში მაინც თავისუფლად დადიოდა; ახლა კი თავის კარებიდან გარეთ ვერა სდგამდა ფეხს, რომ ნაბატონარის ინტერესებს არ შეეხებოდა და ეს უკანასკნელიც ხომ, რასაკვირველია, სრულის სისასტიკით იცავდა თავის ინტერესებს «ზაკონის» შემწეობით. მღვდელი იყო და ისიც ვალარიბდა, გლეხს ეუბნებოდა, მომეცი რაიმე სასყიდელი და მოვალო, ის უწინდულად აღარ ყავდა გლეხს გვერდში ამომდგარი: გულშემატკივრობა მთლად დაავიწყდა. «ახალი თაობაც» ღვიძლი შვილები იყვნენ ან თავად-აზნაურთა, ან მღვდელთა; იგი სწავლა-მეცნიერებას «ატეისტობით», ლიბერალობით იჩენდა და გლეხიც მარხვაჭამიას არ ენდობოდა. ამ ნაირად ჩატყდა ხიდი გლეხსა და „ახალთაობა“ თავად-აზნაურთა შუა საუკუნოებით გადებული.

თუმცა ძნელი გამოსათქმელია მიზეზი, მაგრამ, მგონია, ამის მიზეზი უფრო სარწმუნოების უარ-

*) პირველი ნახევარი ამ წერილისა იხილე 1893 წლის «კვალის» მეექვსე №-ში.

რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფა იყო და წოდებრივი შემოზღუდვა. ჩვენი სისხლი სხვა არიო, იტყოდა ხოლმე თავად-აზნაურობა. ამასთანავე ჩვენი ზოგიერთი პუბლიცისტები იქამდინაც კი მივიდენ, რომ აშკარად გაიძახდენ და გაიძახიან კიდეც: ჩვენ გვინდა საერო საქმე წინ წავაყენოთ, ქვეყანა ავაშენოთ, მაგრამ საქმით ანგარების მოყვარეობის მეტი, განხეთქილების ჩამოგდების მეტი ჩვენ შორის და ხალხში ცუდი ინსტიქტების გაღვიძების მეტი ხელიდან არა გამოუდისთ რა.

დღეს თავი და თავი ორი წოდებაა: გლეხი და ინტელიგენცია. აი, ამათშია ხიდის ჩატეხა სავალალო. მას აქეთ ისეთი სავალალო დღე დაგვიდგა უნდობლობით და ერთმანეთის ალმაცერად ყურებით, რომ დღესაც ვერ მოგვინელებია. ნდობა იმოდენად დაიკარგა წოდებათა შორის, რომ თვალსაჩინო დასამტკიცებელი საბუთებიც რომ მისცეთ ხელში, მაინც აღარას გიჯერებს. «არა შვილო, შენ უთუოდ რალაც ხრიკი გინდა მიგდო, თორემ ჩემთვის გული არ შევტკივაო».

აი, იმის მიზეზი, რომ რაც უნდა კარგი საქმის გაკეთება მოიწადინოს ინტელიგენტთაგანმა, გავლენის უქონლობის გამო ვერას ხდება.

მაგალითად, რომელი ინტელიგენტთაგანი შევიდა სოფელში, ნახა, რომ სკოლა არა აქვთ, ნახა, რომ წყალზედ ხიდი არ არი გადებული, ნახა, რომ ჩარჩები ყვლეფავენ გლეხებს. გამოვა გაზეთის ან ჟურნალის ფურცლებზედ, დაიწყებს იერემიადას და ბოლოს იმასაც დაატანს, თუ ვისიც ჯერ არს, ყურადღება არ მიაქციეს, დავიღუპებითო». მერე ვინ ჰყავს მიზანში ამოღებული? ვინ არის მოვალე ქვეყნის კეთილდღეობისთვის იზრუნოს? ვისი ჯერ არს?..

თუ არ თვით განათლებულის თაობისა, რომ მას თავის წმიდა მოქმედებით ერის თანაგრძნობა და პატივისცემა დაემსახურებინა. დღეს რომ ვინმე ინტელიგენტთაგანმა დაიწყოს სოფელში მოქმედება, განა კი ამითი გამოვა რამე?...

დრო არის ჩვენი ცხოვრება ამ კაცურ ცხოვრებას დავამსგავსოთ, იმისთანა კაცის ცხოვრებას, რომლის გული და გონება ერთ-ურთს ეთანხმებიან, ინტელიგენციამ და ერმა ხელის-ხელს გადახვიოს და ისე შეუდგეს საზოგადო საქმეს, დრო არის შემოქმედ ძალად სარწმუნოება გავიხადოთ და ბაირაღად ეკკლესია. თუ ოდებაები არ შეერთდა ერთს საფარველს ქვეშე ერთის აზრით გამსჭვალული, ისე არა გაკეთდება-რა, და ეს საფარველი არის ძლიერი ნაციონალური ეკკლესია. ყოველი ჩვენ ქერქში მყოფი ერი მხოლოდ ნაციონალურს ეკკლესიას უხსნია და ჩვენც გარეშე მისა ხსნა არა გაქვს. სომხების და ბოლგარელების მაგალითი წინ გვიძევს. ამასვე გვიჩვენებს ისტორია.

მეთუთხმეტე საუკუნეში რუსეთი გაიყო ორ სამიტრაპოლიტოდ: მოსკოვისა და კიევისა. იმ დროს, როდესაც მოსკოვის შეიქმნა უბედურების ასპარეზად პოლონელების ხელში. პოლონელები კათოლიკები იყვენ და მოინდომეს რუსების გაკათოლიკება—გაპოლონელება. პოლონელები არა ზოგავდენ არც ფულს, არც ენერგიას თავის მიზნის მისაღწევად. მოიწვიეს იეზუიტები. დაარსეს ცალკე ორდენი ბაზილიანებისა და თავის სკოლებით მიუჩინეს მტრად რუსებს—მართლმადიდებლებს. მემრე რა უზნეობა არ დაბადეს სამღვდელოებაშიაც, თავად-აზნაურობაშიაც და ხალხშიაც. მერე ვინ ეწინაალმდეგება ამას, თუ იცით? ისევ სამივე წოდება ერთად ეკკლესიების საფარველს ქვეშ თავმოყრილი. ეკკლესიებთან დაიბადენ ძმობები, უდგებოდენ მოთავებად ხან მიტროპოლიტები, ხან «პატრონები» და იბრძოდენ თავის დასაცველად. ვინ არ იცნობს მიტროპოლიტს პეტრე მოგილას, ვის არ გაუგონია თავადების («კნიაზების») ოსტროჟსკისა, და კურბსკის გვარები. ოსტროჟსკის წიგნი «დაბადება» გადაეცა რუსის ჩამომავლობას და მოაღწია აქამდე. თვალსაჩინოა ლვოვის ძმობა, რომელიც მედგრად იბრძოდა მართლმადიდებლობის დასაცველად.

მეთუთხმეტე საუკუნეშივე კონსტანტინეპოლი, ეს დედა ქალაქი მართლ-მადიდებლობისა აიღეს, მაჰმადიანებმა ხალხის გასათათრებლად, ვინ იცის, რამოდენი უზნეობა არ დაბადეს, მაგრამ ვინ ეწინაალმდეგა ამას! მართლ-მადიდებლის ეკკლესია, ისევ ხალხი ეკკლესიის საფარველ ქვეშ თავმოყრილი. პატრიარხებიც რო გადასდკომოდენ სარწმუნოებას, ერის საზოგადო აზრი სდევნიდა მათ და იკავებდა უწესო საქციელიდგან.

რით ვეწინაალმდეგთ ჩვენ ქართველები, ეს ერთი მუჭა ხალხი, მთელი საუკუნოები ჩვენში შემოსეულ თათრულ უზნეობათა და მათგან გათათრებას? ისევ სარწმუნოებით და ეკკლესიის დროშით.

ახლა ვილა გვყავს მტერი? ჩვენი მეცხრამეტე საუკუნის განცხრომით და უზრუნველი ცხოვრებით დაბადებული უზნეობა და განხეთქილება, რომელსაც ძარიანათ ესაჭიროება ალმოფხვრა. რით ალმოფხვრით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ არ ერთობის ძალით, საერთო ბაირაღის ქვეშ შეკრებილნი. ერთი გრძნობით გამსჭვალული ათი კაცი მთელს მხედრობას დახვდება და წინააღმდეგ შემთხვევაში ოცი ათას მხედარს ათი მხედარიც გაჰფანტავს.

ამ ოცდაათ წელიწადში კანტი-კუნტათ, აქა-იქა დაიწყეს ლაპარაკი წოდებების შეერთებაზედ. თუ გვსურს, რომ საზოგადო შეერთებულს ძალაში მდაბიო ხალხიც ჩაურიოთ, უეჭველად ეკკლესია უნდა გავიხადოთ ბაირაღათ, სხვა წოდებებს კიდევ შევიჯერიებთ სხვითი რითიმე. მდაბიო ხალხზედ მარხვა-ჭამიაობით კი არ უნდა ვიმოქმედოთ, რომ ნდობა მოვიპოვოთ მათი, გავხდეთ მორწმუნენი, მათი სარწმუნოებრივი გრძნობა შევითვისოთ და მხოლოდ მაშინ დაუახლოვდებით მას, რომელიც ფანატიკოსია, თუ მათი გრძნობა შეურაცხეთ და უპატიოთ შეეხეთ. **აი, აქ, ასეთი მიმართულებაშიდ უნდა გვძიოთ ჩვენი დაწინაურება.** დღე განკერძოებულნი, ათას-ნაირ დასად დაყოფილნი, ერთმანეთის მეშურნენი, მაძაგებელნი ამ ეკკლესიის ფრთეთა ქვეშე უნდა შევრიგდეთ. ქართული წირვა-ლოცვა, ქართული სახარება და ღვდელთა მსახურება წავიმძღვაროთ წინ და წარმოვსთქვათ: «აღსდეგინ ღმერთი და განიბნივენ ყოველნი მტერნი მისნი».

ჭეშმარიტად დიდი მისალოცავია ბათუმის სამზრუნველო კომიტეტის მოთაოვეობა ამ მხრით. აი, როგორ დაარსებულა ეს კომიტეტი? კორრესპონდენტი სწერს «ივერიას» ბათუმიდან: ზოგიერთა ქვეყნის გულშემატკივართა მეცადინეობით მიუღიათ ნება-რთვა ქართულის ეკკლესიის აშენებისა. სანამ ეკკლესიას ააშენებდენ, უნდა იწირვებოდეს ქართულად საკრებულო ტაძრის სამხროში. „მოვისმინეთ ქართული წირვა, გავიგონეთ ქართულ ენაზედ ღვთის ვედრება-დიდება, დავსტკბით სულიერად და ხორციელად», ამბობს კორრესპონდენტი, წარმოიდგინეთ ჩვენი გაოცება. მადაც გაღვიძებიათ. მერე რაში? სულიერთა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში. მოუნდომებიათ ქართულ წირვა-ლოცვასთან ქართული მწყობრივი გალობაც, მოუნდომებიათ სარწმუნოებრივი ესტეტიური გრძნობათა დაკმაყოფილებაც.

დაუწყიათ მოქმედება და აქ მოთავეთ გამხდარან გულშემატკივრები. დაუარსებიათ კომიტეტი, რომელსაც ნება-რთვა მიუღია იზრუნოს ეკკლესიის წარმატებისათვის. კომიტეტი შესდგება სასულიერო პირთაგან და მრევლის წარმომადგენელთაგან.

არა სძინავს თურმე კომიტეტს. მოუწვევიათ ცნობილი ქორიძე, ეს ყოვლად პატიოსანი უანგარო მოღვაწე გალობის ასპარეზზედ, შეუდგენიათ ქართული ხორო და აგალობებენ ეკკლესიაში. ორ ნაირ სამსახურს ეწევა ეს პატივცემული კომიტეტი: აშნოიანებს ღმრთის მსახურებას ეკკლესიაში და უწყობს ხელს ქართველების საზოგადო საქმეს გალობის ნოტებზედ გადაღებისას.

ამისთანა საქმეს ქება არ ესაჭიროება, იგი თვით ღაღადებს თავის-თავზედ. ამას ჰქვიან ძმობა, ერთობა, ნდობა, ხელის-ხელ გადადება, წოდებათა შეერთება, რომელიც მიბაძვის ღირსია.

ვისურვოთ, რომ ბათუმის „საეკკლ. სამზრუნველო კომიტეტს“ მიმბაძავნი გამოსჩენოდეს სხვა ჩვენის ქვეყნის კუთხეებში. ამასთანავე ხელს უწყობს და ავალებს კიდეც სასულიერო კანონმდებლობაც (მუხ. 1—14 უმაღლესად დამტკიცებული 2 აგვისტოს 1884 წ. დადგენილება № 41,144), სადაც ნათლად არის გარკვეული სამზრუნველოების მოქმედება-უფლებანი. ჩვენ დაგვრჩენია გამოფხიზლება და საქმის დაწყება.

მხოლოდ მის განხორციელებას წინ უნდა უძღოდეს სარწმუნოებრივი გრძნობა და ქართული ეკკლესიის მფარველობით ერის დაცვის იმედი.

მთ. ი. მ—შვილი.

# კიდევ ორიოდე სიტყვა სკოლაზედ.

---

სკოლა არის ერთი საყურადღებო და უსაჭიროესი დაწესებულება იმ საზოგადო დაწესებულებათა შორის, რომელსაც აუცილებლად უნდა ჰყავდეს და კიდევაც ჰყავს ერთი ვინმე გამგე, სულის ჩამბერავი, გამაღვიძებელი არსება, რომელზედაც არის დამოკიდებული ამ დაწესებულების ბედი და იღბალი. ჩემის შეხედულობით დიდი შეცდომა არ იქნება, რომ ამ არსებას კაცმა უწოდოს სახელად თავი იმ დაწესებულებისა, რომელშიდაც იგი მოქმედობს. ცხადია, რომ რამდენადაც ეს თავი უფრო განვითარებულია, ერთგულია თავის პირდაპირი მოვალეობისა, აღჭურვილია ჭეშმარიტი ღვთის სიყვარულით და პატიოსნებით, იმდენად მისდამი რწმუნებული დაწესებულებაც უფრო წინ მიდის, მეტი ნაყოფი მოაქვს და დიდ სახელს იხვეჭს ხალხის თვალში. დაწესებულებანი არიან ბევრნაირნი და მათგან მოთხოვნილებაც სხვა-და-სხვანაირია: ზოგიერთ მათგანს საქმე და კავშირი აქვს სულიერ საგნებთან და ზოგს კი უსულო საგნებთან; პატრონობა და მოქმედობა პირველ დაწესებულებაში უფრო ძნელია, ვინემ მეორეში. პირველ დაწესებულებას, სხვათა შორის, ეკუთვნიან პირველ დასაწყისი სკოლებიც, ხოლო მეორეს—სხვა-და-სხვაგვარი კანცელარიები და სხ. ამ უკანასკნელებში მუშაობას და წინძღოლას, რასაკვირველია, არა უნდა-რა, გარდა გამოცდილებისა, არც ძრიელ დიდი ტვინი და არც მეტის-მეტი გამჭრიახობა, ვინაიდგან საქმე გაქვს ქაღალდებთან, რომლებსაც უმეტეს ნაწილად ჭირდება მეხანიკური მუშაობა. სკოლებში მუშაობას და მეთაურობას ცოდნასა, გამოცდილებასა, ერთგულებასა და მუყაითობასთან უნდა უძღოდეს დიდი შიში ღვთისა, მიტომ რომ მაცხოვრის სიტყვებთან ვინც ბავშვს რამე ცუდს ასწავლებს და შეაცთენს, მას ურჩევნია, რომ «დეიჰკიდოს წისქვილის ქვა და გადავარდეს დიდს მორევში», ჩვენ უნდა გვახსოვდეს გამოჩენილი პედაგოგის უშინსკის სიტყვებიც, რომელიც, სხვათა შორის, ამბობს: «преступникъ, убійца тотъ, кто берется за воспитаніе и обученіе, не зная его». მასწავლებელი არის მთესვარი განათლებისა, ჭეშმარიტებისა და სიკეთისა; კეთილი თესლის მაგივრად მან ღვარძლი არასოდეს არ უნდა თესოს და თავის ნათესს ისე უნდა უვლიდეს, რომ არავითარმა ქვეყნიურმა ზრუნვამ იგი არ უნდა შეაშთოს და უნაყოფო არ დატოვოს; ამ მოსაზრების გამო ყველა მასწავლებელმა წინდაწინ უნდა ჩაიხედოს თავის გულში და შეიტყოს, აქვს მას მოწოდება მასწავლებლობისადმი, შეუძლია მას აღასრულოს ის წმიდა მოვალეობა, რომელსაც ხელს ჰკიდებს, თუ არა—თუმც სინდისმა უთხრას კი, ხომ კარგი და თუ არა, ათას წილად სჯობია თავი დაანებოს მასწავლებლობას და რამე სხვა საქმეს მოჰკიდოს ხელი.

ვინ არ იცის, რომ მასწავლებელი სკოლაში მარტო ან-ბანს კი არ ასწავლის, არამედ ამასთანავე უმაწვილს ზრდის (воспитываетъ), უნერგავს მას გულში პატიოსნებას, სინდისიერ ცხოვრებას, ღვთის სიყვარულს და სხვა სათნოებათა მიხედვისამებრ უმაწვილის თვისებური (ИНДИВИДУАЛЬНЫЙ) სულიერი მდგომარეობისა და ხასიათისა. თუ მასწავლებელმა ყველა თავის მოსწავლეების ხასიათი, გონებრივი და ხორციელი მიმზიდველობა კარგათ არ შეიგნო და არ შეისწავლა, ისე მას არასოდეს არ შეუძლიან პედაგოგიურად თავის მოსწავლეების აღზრდა, უიმისოდ ის ვერ შეძლებს ჩაუნერგოს მოსწავლეებს გულში ზეცით დასახელებული სათნოებანი; ამ შემთხვევაში სკოლა, ნაცვლად იმისა რომ აღზარდოს ჭეშმარიტი ქრისტიანენი და განამრავლოს პატიოსანი წევრნი და მუშაკნი საზოგადოებაში, შეგვმატებს ცრუპენტელა აკაზაკობის და ზარმაცობის მოყვარე პირთ.

მასწავლებელი, რაც უნდა იგი ცუდი მომზადებული იყოს თავის საქმისათვის, მაინც ეცდება ღვთის შიშისა და სინდისისა გამო, რომ თავის დანიშნულება ცოტათი მაინც რიგიანად შეასრულოს, თუ მას ხელს უწყობს შინაგანი და გარეგანი მდგომარეობა. ბევრი მახე ხვდება ეკლით მოფენილ გზაზედ გამოუცდელ მასწავლებელს. ვსთქვათ, სკოლაში დაინიშნა მასწავლებლად ისეთი პირი, რომელსაც ორი ან სამი თვეა, რაც გაუთავებია რომელიმე საშუალო სპეციალური სასწავლებელი; რა უნდა ჰქნას ამ საბრალომ. სკოლის სკამზედ, ვინ იცის, რას არ ფიქრობდა იგი. შეიძლება იგი ხშირად კლისონის ფიქრებსაც მიეცემოდა ხოლმე; მაგრამ ახლა ცხოვრებამ ყოველივე მისი აზრი და ფიქრები შესცვალა, უფრო დაადარდიანა და დიდ შინაგან სატანჯველს მისცა იგი; ის ყოველ ნაბიჯზედ დაბრკოლებას ხვდავს, მისთვის ყოველი სოფლელი კაცის სიტყვა და აზრი თითქმის ფრანგულია; ისიც არ იცის ამ საბრალომ, თუ როგორ უნდა მოიგოს სოფლელების გული, რომელიც არ თხოულობს, გარდა გამოცდილებისა, დიდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამჭრიახობას. ერთს მათგანს, კლასში შემოსვლის დროს, თავის სკამს, რომელზედაც თვითონ ზის, უთმობს და თავის ადგილზედ აჯენს, მეორეს მშვიდობას ჰკითხავს და სხ... სწავლა ვითომ თავის რიგზედ მიდის!! (ხარხალი ბავშვებისა, დისციპლინის დარღვევა უზომელი და სხ.). ნუ თუ ამისთანა გამოუცდელ მასწავლებელს შეუძლიან ერთ წელიწადში ყოველივე ის შეასრულოს, რასაც მას თავის თანამდებობა ავალებს ე. ი. ცხოვრებაც და სკოლაც გაიცნოს, ბავშვების თავისებური თვისება, ხასიათი და მათი პირადი ღირსებაც ისე კარგად შეიგნოს, რომ სწორედ იგინი პედაგოგიურად აღზარდოს და სხ.? ამის შესრულება ერთ წელიწადში სამძიმოა და, თუ ღმერთი ჩვენს სოფლის ყველა მასწავლებლებს პესტალოცებად, დისტერვეგად და სხვა შესანიშნავ პედაგოგებად გახდის, ამისი კი რა მოგახსენოთ.

ვისაც თვალყური გადაუვლია პედაგოგიკის ისტორიისათვის და ან წაუკითხავს აქ დასახელებული და ან სხვა გამოჩენილი პედაგოგების ბიოგრაფია, მას კარგად ეცოდინება, თუ მასწავლებელი რა გზით მიიღებს გამოცდილებას და ბოლოს შეიქნება ასე თუ ისე რიგიანი ოსტატი თავის საქმისა. მინამ კაცი რამე თავის საქმეს ბოლომდის არ დააგვირგვინებს და არ გაამშვენებს, მანამ მას არ შეუძლიან შეადგინოს თავის ნაწარმოების რიგიანი გეგმა და არც სრული კმაყოფილების მიღება. სანამ ხელოსანი (ХУДОЖНИКЪ) თავის სურათს არ მოათავებს, მანამ მას არ შეუძლიან სრული შთაბეჭდილება მიიღოს თავის შრომისაგან. ასე გახლავსთ მასწავლებლის საქმეც. სანამდის მასწავლებელი კარგად არ გაეცნობა ერთ სკოლას და მასში ბევრათ თუ ცოტათ რიგიანად არ დააყენებს სწავლის საქმეს, მანემდის, თუ ის იქმნა გადაყვანილი მეორე, მესამე და სხვა სკოლებში, ვერც რიგიან გამოცდილებას მიიღებს და არც, რასაკვირველია, ხეირიანა მასწავლებელი შეიქნება და გარდა ამისა არც პირველ სკოლას დატოვებს კაი მდგომარეობაში. როგორც ზევითა ვსთქვით, სკოლის საქმე და კანცელარიებისა სულ სხვანაირია: სკოლაში სიყვარული მოქმედობს, რიგიანი გაწყობილი სკოლა ემზგავსება ერთ ჯალაბ პატიოსან ოჯახს; როგორც ოჯახში ყველანი მამის მორჩილნი და მოყვარულნი უნდა იყვნენ, ისე სკოლაშიდაც მამობრივი სიყვარული უნდა სუფევდეს; მამა ასაზრდოებს ოჯახს, აგრეთვე მასწავლებელი ასაზრდოებს სულიერად, სიცოცხლეს აძლევს სკოლას, იგი არის მისი სული და სამირკველი. მასწავლებელმა თუ იმდენი შესძლო, რომ ბავშვების მხრით გონიერი სიყვარული მოიპოვა, იმას მაღალი სასწავლებელიც რომ არ ჰქონდეს გათავებული და არც ძრიელ განვითარებული იყოს, უფრო მეტის გაკეთება შეუძლიან სკოლაში, ვინემ იმათ, ვისაც მაღალი სწავლა-განათლება აქვთ მიღებული და მასწავლებლობის თანამდებობას უცქერიან გადასადგმელ ნაბიჯად უმჯობესისაკენ, წლის და ან უფრო ადრე, სტოვებენ თავიანთ სამსახურს.—განსაკუთრებით გონიერი სიყვარულის მოპოება ჩვენ სამრევლო სკოლების მასწავლებელთათვის არის უფრო საჭირო, მიტომ რომ ზოგიერთ ჩვენ სკოლებში მოსწავლეების რიცხვი არ აღემატება 15—20. ხშირად შეხვდებით, ვინც ახლოს დაკვირებია სოფლის ცხოვრებას, რომ მამები ერთი ერთმანეთს ეუბნებიან: «ბავშვი ვერ გავგზავნე სასწავლებელში, ვეხვეწე და არ წავიდაო». ვისი ბრალი და მიზეზია ეს? პირდაპირ მასწავლებლის—მოსწავლეს სწავლა უნდა ახალისებდეს და მასწავლებლის პოლიციის ბოქაულივით კი არ უნდა ეშინოდეს, არამედ მისი უნდა ჰქონდეს გონივრული შიში, ხათრი, მორიდება და სიყვარული. ასეთ გაწყობილ სკოლაში, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, მოსწავლეებიც ბევრი იქნება და საქმეც რიგიანად წავა და თუ სკოლა ამას მოკლებულია, ის ისე დაიმსხება, როგორც ზამთარში უთავლო სკა.

მთავარ-დიაკონი მ. ბუაჩიძე.

## მცირე შენიშვნა.

„გაიგონებ მსჯავრსა სულელისასა“.

«ივერიისგან» გამართულმა ხელის-მოწერამ შოთა რუსთველისათვის ძეგლის ასაგებად მე მომაგონა ერთი ხელის-მოწერა, რომელიც გამართული იყო ამ თორმეტიოდე წლის წინად, «დროებაში», როგორც ეხლა აიხსნა, ბროსსეს პრემიისათვის.—მე-კი შეცდომით «მწყემსი»-ს 14 №-ში რუსთველისათვის გამართულ ხელის-მოწერად ჩავთვალე და ვკითხულობდი, სად არის ფული-თქო, და რაკი ბოლოს დროს გაზეთი თ. მაჩაბლისა იყო, დავსძინე, რომ ამ უკანასკნელის ხელში თუ გადვიდა ის ფული, ხომ კარგი, და თუ არ გადასულა მაჩაბლის ხელში, მაშინ ყოვე-

ლივე იმედი უნდა გადეიწმინდოთ ფულის კვალის პოვნაზედ.—

ამ უკანასკნელი პწკარის გაგება არ მოუსურვებია ბატ. ი. მელიქიშვილს *), რომელიც ილანძღება («კოკასა შინა რაცა სდგას...») თავის საკადრისად. მას ჯერ ასე მოჰყავს რეზიუმე ჩემის ნათქმისა:

„მწყემსის“ № 17-ში დაბეჭდილია წერილი ბ. ილია ჭყონიასი, რომელიც შეცდომით მომივიდაო, ამბობს, შოთა რუსთველის ძეგლისათვის კი არ მოგროვდა ფული 1881 წ., არამედ 1880—1883 წ. განმავლობაში მოგროვილი იყო 600 მ-დე განსვენებულ ისტორიკოსის ბროსეს პრემიისათვის და ეს ფული გადაეცა გაზეთთან ერთად თ. მაჩაბელსაო.

თუ მიხვდებით, რისთვის მოჰყოლია თავის სიტყვებით ჩემს ნათქვამს ბ. მელიქიშვილი? იმისთვის, რომ საოცარი ლოღიკური სკუპი ექნა და ეთქვა:

არა, ბ. ჭყონიავ, ასე არ გახლავთო.

როგორ? მე არ შემცდარვარ? ბ. მე—ლი ამტკიცებს, რომ რუსთველისთვის მართლა იკრიბებოდა ფული «დროებაში?» არა, ამას როგორ იტყვის, კიდეც რომ ასე იყოს.—მე ვამბობ ჩემს შეცდომას ვასწორებ-მეთქი,—ის კი მეუბნება—ასე არ გახლავთო და შემდეგ ილანძღება, ილანძღება იმიტომ რომ მიზეზის მზგავსი შემთხვევა მიეცა ლანძღვისა და ხომ მოგეხსენებათ, «ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა».

რომ ხელმოსაკიდებელი საბუთის მსგავსი რამ მოიძებნოს, იგი შემდეგს კალმახურს კადრულობს:

| მე ვამბობ: | ბ. მ—ლი ბრძანებს, რომ მე ცილს ვწამებ ს. მესხს და ვამბობდე: (მისი გუნებით!) |
|---|---|
| («მწყემსი» № 14) | («ივერია» № 210) |
| „და თუ მაჩაბლის ხელში არ გადასულა ის ფული, მაშინ ყოველივე იმედი უნდა გადვიწმინდოთ მისი კვალის პოვნაზედაც-კი“... | თუ ვინიცობაა განსვენებულ ს. მესხთან დარჩა ის ფული, რასაკვირველია, კვალსაც ვერ უპოვითო. |

მკითხველი თვალსაჩინოდ ხედავს, რა უკადრისს საქციელს ჰკადრულობს ბ. მელიქიშვილი. თქმას **«თუ მაჩაბლის ხელში არ გადასულა»**-სა და **«თუ ს. მესხთან დარჩას»** შუა დიდი განსხვავებაა.

რად სცვლის ჩემს სიტყვებს თავის სიტყვებით ბ. მელიქიშვილი, ანუ, უკეთა ვსთქვათ, მისთვის წერილის დამწერი?

**«თუ თ. მაჩაბლის ხელში არ გადასულა»** არ ნიშნავს **«სერგეი მესხთან დარჩას»**. შეიძლებოდა ძალიან ადვილად, რომ განსვენებულს ს. მესხს ფული შეტანილი ჰქონებოდა რომელიმე ბანკში, და ის ბანკი გაკოტრებულიყოს, რის მაგალითიც არა იშვიათად ხდება რუსეთში; შეიძლებოდა, რომ ის ფული რომელიმე იმისთანა სანდო კაცისთვის მიებარებინა (როგორც სანდოა მაგ. ი. მაჩაბელი) და ის კაცი გადაცვლილიყო და ჩაბარების ბარათი დაკარგულიყო; შეიძლებოდა, ბანკშიაც შენახული ყოფილიყო ფული, ამის საბუთი დაკარგულიყო და განსვენებულის მემკვიდრეებს და საზოგადოებას კი დავიწყებოდა სად არის იგი ფული შენახული, როგორც მაგალ. მთელს სამეგრელოს თავად-აზნაურობას დაავიწყდა და არ იცის, სად არის შენახული ის რამდენიმე ათასი მანეთი, რომელიც მას გამოურიცხეს თანახმად მისი სურვილისა ბატონ-ყმობის გაყრის დროებში, ყმების ფულიდან (2%) „შვილების აღსაზრდელ“ კაპიტალის დასაარსებლად, და სხ...

ბევრი რამ ამგვარი შეიძლებოდა და შეიძლება და ის კი არ შეიძლება, რომ განსვენებულს ღვაწლმოსილს სერგეი მესხს, რომლის პატივისცემა ჩემზე უფრო ი. მ—შვილს არ ექნება, ის ფული თავის მიზეზით დაეკარგოს.—ამისთანა შეწამება განსვენებულზე და ისიც გაუგებრობით («შეუნდე ღმერთო, არა იციან, რასა იქმან“) თვით ი. მე—ლმა ინება ჩემის სიტყვების გადამახინჯებით და სხვას კი არავის მოუვა აზრადაც.—

ამით ვათავებ ჩემს შენიშვნას ი. მ—ს ლანძღვის გამო. დანარჩენს მისს გინებას მე უყურადღებოდ ვსტოვებ, რადგანაც ყოველ ორფეხთან თავის გაყადრებას ჩვეული არა ვარ.

ილია ჭყონია.

18 $\frac{3}{X}$ 93 წ.

*) ზოგიერთ მკითხველთაგანს, რომელთაც „რუსთველ-ბროსესთვის გამართულ ხელის მოწერის ამბები ეინტერესებათ ეს ი. მელიქიშვილი ჰგონიათ ოდესის უნივერსიტეტის პროფესორი მელიქიშვილი.—არა, ბ. პროფესორს ჰქვია პეტრე და სრულებით არ არის ავტორი „ივერიის“ მე-210 №-ში დაბეჭდილი შენიშვნისა, რაიცა აშკარად ეტყობა მისი წერილის კილოს.

რედ.

## წერილი რედაქციის მიმართ.

მამაო რედაქტორო!

ამ მოკლე დროში ერთი ფრიად დიდი და შესანიშნავი საქმე გაირჩევა ქუთაისის ოლქის სასამართლოს გამმიჯნავ განყოფილებაში. ეს საქმე გახლავსთ მღვიმის დედათ-მონასტრის ადგილების საქმე, რომელთაც თ. წერეთლები ედავებიან მონასტერს. ხსენებული საქმე დიდი მით არის, რომ დიდი ფასის შავი ქვის ადგილები არის სადაო, ასე რომ ერთ მილიონზედ მეტი ღირს ეს ადგილები და შესანიშნავი მით, რომ როგორც სასულიერო მხრით, ისე თ. წერეთლების მხრითაც მრავალგვარი ძველი და ახალი საბუთებია წარდგენილი მსაჯულების წინაშე. —ამ საბუთებში საქართველოს მეფეების სიგელ-გუჯრებიც ურევია და რუსეთის იმპერატორების სხვა-და-სხვა გვარი საბუთებიც. ყველა ეს საბუთები რომ კაცმა წაიკითხოს, დარწმუნდება, რომ ზოგიერთა საქართველოს მეფეები სულ უბრალო მიზეზთა გამო ასაჩუქრებდენ კერძო პირებზედ დიდ მამულებს და მონასტრებს თავიანთი მამულებით. სწორედ ასე გაუსაჩუქრებია უკანასკნელ იმერეთის მეფეს სოლომონს, რაჭის ერისთვის, კახა ბერის, რატის მიერ აღშენებული მღვიმის შესანიშნავი მონასტერი წერეთლებზედ. ყმები, დიდი ხანია, რაც ჩამოართვეს მონასტერს წერეთლებმა, მაგრამ ეხლა ის ადგილებიც უნდათ წაართვან მონასტერს, რომლითაც საზრდოობს მონასტრის დანი უხსოვარის დროიდამ. მარიამობისთვეში იყო დაბა საჩხერეში ქუთ. ოლქის სასამართლოს წევრი პოპიჩი, რომ ხსენებულ ადგილების თაობაზედ მოწმებისთვის ეკითხა; მოწმების უმრავლესობამ მონასტრის სასარგებლოდ აჩვენა საქმე და იმედია, რომ საქმე მონასტრის სასარგებლოდ გათავდება, რადგანაც საბუთებიც კარგი აქვს მონასტერს. მაგრამ მონასტრის იღუმენიას და კრებულს ეშინიათ, რომ თ-დი წერეთლები დიდი კაცები და ფრიად შეძლებულნი არიან და, ვაი, თუ სამართლის სასწორი გადახარონო, ეს შიში იმიტომ აქვსთ, რომ პოპიჩი წერეთლებთან იდგა მთელი ორი თთვე და თითქმის ყოველ დღეს მიწვევ-მოწვევა ქონდათ. მე ჩემის მხრით ამას ვიტყვი, რომ პოპიჩი იმდენათ მაღალი ზნეობის კაცი არის, როგორც შევიტყე, რომ მას ვერაფრით მოიყიდის კაცი, ამიტომ მონასტრის კრებული ტყუილა შიშობს. *) ხსენებულ მონასტერში მრავალი საისტორიო და საარქეოლოგიო ნივთებია, რომელთ შესახებ მე ვრცელი წერილი დავბეჭდე «მწყემსში» ამ ხუთიოდე წლის წინად.

ბლაღ. მღვ. ი. წერეთელი.

## მოშაირეს.

(ვუძღვნი ჩემს მეგობარს ცა—ლს).

ნიჭი გაქვს შაირობისა,
მასალაც ბლომათ გიწყვია,
მაგრამ რად გინდა ან ერთი?
პირში ლაგამი გიდვია.

რაც სათქმელი გაქვს, ვერ გითქვამს,
ვერც კალმით დაგიწერია,
მით რომ სიმართლის მეტყველის
ამ ჟამად ბევრი მტერია.

ეხლანდელს დროში სიმართლეს
თაყვანს აღარ სცემს ერია,
და მის მთქმელს მხარს არ დაუჭერს
ჭაბუკი—არცა ბერია.

ყოველ დღე ვხედავთ, მართალი
ყველასგან დაჩაგრულია,
მტყუანი, ცრუ და მუხთალი
თავგასულ, მოგებულია...

ქაიხოსრო გელოვანი.

---

*) სასურველია, რომ ამისთანა სამძიმო საქმისათვის ვექილებად ინიშნებოდენ სასულიერო მთავრობის მხრით ძლიერ გამოცდილნი და ნასწავლნი ვექილნი. წერეთლებმა დიდი მამულები მოიგეს ჩვენი სასულიერო ვექილების სისუსტის წყალობით. აბაშიძეებიდამ მოიგეს წლიურად ასი ათასი მანეთის სარგებელი 500 მ. მაგრამ ისე მოიგეს, რომ რამდენიმე წლის შემდეგ კაპეიკსაც ვერ მიიღებს მონასტერი...

რედაქტორი.

## ნეტარ არს ადამიანი.

ნეტარ არს მხოლოდ ადამიანი,
ვინც ამა სოფლად კეთილი დარგო,
ცხოვრების მიზნათ სიმართლე ჰქონდა,
ვინც თვის მოძმეებს რამ წილი არგო.

—

ვინც თავის ოფლით რწყო დედა-მიწა,
აღმოაცენა რამ ჭირნახული
და მიაწოდა ქვრივ-ობოლთ საზრდო,
წამოაყენა გაჭივრებული.

—

ვინც შეასრულა მცნება უფლისა,
სწამდა გამჩენი თვისი ღვთაება,
შეურყეველად ეჭირა სჯული,
მტკიცედ დაიცვა სარწმუნოება.

—

სარწმუნოება ნიჭია ღვთისა
და საფუძველი ქრისტიანობის,
სარწმუნოება კედელი ერის,
შემკავშირებელ ერთობა-ძმობის.

—

ქრისტიანობა არის ნექტარი
და ბრწყინვალეა ვითა ნათელი,
ქრისტიანობა მცნებაა ღვთისა,
უკვდავი, სულის გამნათლებელი.

—

ნეტარ არს მხოლოდ ადამიანი,
ვინც იმ ბრძოლის ველს დალია სული,
სადაც ტაციობას, შურს და ქიშპობას
მედგრად ებრძოდა გალომებული.

—

ვინც არ ემონა ოქროსა ბრჭყვიალს,
მისგნით დიდებას არ ეძიებდა
თვისი მცირედი ქონებისაგან
დავრდომილ მოძმეთ უნაწილებდა.

—

ვის პირ-მოთნება და ლამურობა
ეზარებოდა, ვითარცა ჭირი,
თავს არ უხრიდა უსამართლობას
სულით ძლიერი და პირდაპირი.

—

ვინც შეასრულა აქა თქმულები,
იგია მხოლოდ სულით ნეტარი,
ნიმნად კაცურის კაცობისათვის
მას უგალობებს დავითის ქნარი.

თავადი გრიგორი გ—ნავა.

## ახალი ამბები და შენიშვნები.

ქართლ-კახეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატების კრება გაიხსნს რვა ამა ოქტომბერს და გაგრძელდა ამა თვის 14 რიცხვამდე. კრებას დაესწრო 55 დეპუტატი. ეს კრება შესანიშნავი იყო მრავალის მხრით. ამისათვის ჩვენს გამოცემაში დავბეჭდავთ ამ კრების ვრცელ ანგარიშს და მოქმედებას. ჩვენ კრიტიკულადაც გავარჩევთ კრების ზოგიერთ მოქმედებას. დღეს მხოლოდ ვაცნობებთ მკითხველებს, რომ ამ კრებამ დაადგინა შემდეგი განაჩენი: 1) სამღვდელოებამ ასწავლოს მრევლს ზეპირად საღმთო სჯული და ლოცვები; 2) დაარსოს ეკკლესიებთან წიგნთ-საცავები; 3) დაარსოს საბლაღოჩინოებში საბლაღოჩინო საბჭოები, გასარჩეველად ზოგიერთ წვრიმალ საჩივრებისა და თხოვნებისა; 4) დაიცვალოს ძველი მწარმოებელნი წმიდა სანთლის ვაჭრობის საქმისა და მათ მაგიერ დაინიშნონ ახალნი პირნი; 5) თბილისის ეპათქიალური დედათა სამ-კლასიანი სასწავლებელი გარდაკეთდეს ექვს-კლასიანად; 6) აღირჩიეს თბილისის სასულიერო სემინარიის სამმართველოის წევრებად სამღვდელოების მხრით დიდუბის ეკკლესიის მღვდელნი მმ. კალისტრატე ცინცაძე და ზვერევი; 7) გარდაწყვიტეს, რათა მოპოებულ იქმნეს ადგილი და შენობა საეპარქიო დედათა სასწავლებლის ახლოს ამ სასწავლებლის საჭიროებისათვის; 8) დაარსდეს საბლაღოჩინო და საეპარქიო წიგნთ-საცავები და სხვანი.

***

დაბა საჩხერეში ბ. ყარამან ტ. ჩხეიძეს დაუარსებია წიგნის მაღაზია, სადაც ისყიდება გამოცემის ფასად ყოველნაირი ქართული წიგნები და სახელმძღვანელოები. იქვეიშოვება ძალიან იაფად ქაღალდი, რუსულ-ქართული რვეულები და ყოველნაირი საწერლო ნივთები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნეობაზედ.

---

## ქართული აპოკრიფები

ქართულს ენაზედ აქამდის არც ერთი აპოკრიფი არ ყოფილა აღბეჭდილი. ჩვენ გვსურს გამოვცეთ კრებული ძველი და ახალი აღთქმის აპოკრიფებისა, რათა ამ გზით მივცეთ საშუალება მკითხველს გაიცნოს ის გონებითი საზრდო, რომლითაც იკვებებოდა ჩვენი ერი საუკუნეთა განმავლობაში. აპოკრიფებს ამ ბოლო დროს მეცნიერებაში მიაქციეს განსაკუთრებითი ყურადღება, რადგან მათი განმრავლება დ̃ გავრცელება მშვენივრად ჰხატავს ერის გონებითი წარმატებას. გარდა ამისა აპოკრიფებს ჰქონიათ დიდი გავლენა საერო სიტყვიერებაზედ დ̃ მხოლოდ აპოკრიფების ზედ-მოქმედებით აიხსნება, მაგალითად, სვანების წარმოდგენა სამოელზედ, ფშავლების რწმენა საიქიოზედ დ̃ სხ. მაშასადამე ერის ნაწარმოების წყაროდ გამხდარა ნაწერი თხზულება დ̃ ამიტომ პირველის სათავის საპოვნელად საჭიროა მივმართოთ მეორის გამოკვლევას.

სიტყვა აპოკრიფი ბერძნულია და ნიშნავს ქართულად დაფარულს, დაკრძალულს. აპოკრიფების შინაარსი წარმოადგენს ახსნას, განმარტებას და დამატებას იმ საკითხავების შესახებ, რომელიც ან მოკლედ იყო აღნიშნული ანუ სრულებით გამოტოვებულია საღმრთო წერილში. კეთილმორწმუნე მკითხველი სახარებისა შენიშნავდა, მაგალ., რომ იესო ქრისტე სამოქალაქო ასპარეზზედ, ანუ უკეთ ვსთქვათ საქადაგებლად გამოდის 30 წლისა. მკითხველის თავში იბადებოდა საკითხავი, სად და როგორ გაატარა მაცხოვარმა ის დრო, რომელმაც განვლო პირველად მისი ქადაგებამდის. ამ საკითხავის ასახსნელად შეიქმნა აპოკრიფი სიყრმე იესო ქრისტესა, გავრცელებული ყველა ქრისტიანებში. აი კიდევ ერთი აპოკრიფის ისტორია: სახარებაში არ არის აღნიშნული დაწვრილებით, რა ცოდვისთვის როგორი სასჯელი მოელის კაცსა. შესავსებლად ამ ნაკლისა და გონების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად შეიქმნა აპოკრიფი ღვთისმშობლის ხილვა ტანჯულთა ჯოჯოხეთში, რომელიც აწ ჩვენ მიერ იბეჭდება ქართულადაც.

აპოკრიფები წინად ეკლესიის მხრივ არ იყვნენ აკრძალულნი, რადგან იგინი არ ეწინააღმდეგებოდენ სამღვთო წერილს. მაგრამ, როცა მწვალებლებმა ისარგებლეს ამგვარი ნაწარმოებით თავიანთი სწავლის გასავრცელებლად, მაშინ ეკლესიამ აკრძალა ამ ხასიათის წიგნები დ̃ შეადგინა სია ანუ ინდექსი (index) გახრწნილ-განდევნილ წიგნთა. წმ. ექვთიმე ქართულად სამღვთო წერილის მთარგმნელი აი რას სწერს გიორგი ბერს: «წიგნნი, რომელთა ეკლესიაა არ შეიწყნარებს, არიან ყოველნი, რომელნი მწვალებელთა მიერ დაიწერნეს. ორიგინეს მწვალებელსა მრავალი წიგნი დაეწერა და არა შეიწყნარებს ეკლესია, ევსები პამფილის წიგნი... ქართულად უთარგმნიათ დ̃ უწინარეს მრავლისა ჟამისა სიცოცხლესავე მამისა ჩემისა და მოეწერა მუნით სტეფანე ეპისკოპოზსა და ეკითხა, თუ შესაწყნარებელ არს. კარგიც მრავალ სწერია, გარნა ღვარძლიცა მრავალი ჩაურთავს და მით უხმარ არს... არს ადამის ცხოვრება და არც მას შეიწყნარებს. არს წიგნი სიყრმე უფლისა დ̃ არცა მას შეიწყნარებს»...

როგორც ამ მოყვანილი სიტყვებიდან დაინახავს მკითხველი, აპოკრიფები არ არიან შეწყნარებულნი ეკლესიის მიერ. ჩვენ განვიზრახეთ ამათი აღბეჭვდა იმ აზრით, რომ შევადაროთ იგინი ბერძნულ, ლათინურ, რუსულ, სომხურ აპოკრიფებს, უჩვენოთ დედანი, რომელზედაც დამყარებულია ქართული ნაწერი დ̃ აღვნიშნოთ ის განსხვავება, რომელიც შეტანილია ჩვენი მთარგმნელისგან. ეს განსხვავება შეადგენს ერის ნაწარმოებს და ასურათებს ჩვენი ხალხის სარწმუნოებრივ და ზნეობრივ მდგომარეობას წარსულში. მაშასადამე აპოკრიფებს ჩვენთვის აქვს ისტორიული, კულტურული მნიშვნელობა.

ჩვენ დავბეჭდავთ ჯერ თვით აპოკრიფებს და შემდეგ, როცა გავათავებთ აღბეჭდვას, დაურთავთ შენიშვნებს და შედარებას უცხო ერთა აპოკრიფებთან. ბოლოს მოვაქცევთ ამ ნაწილს

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმიტომ, რომ თვით აპოკრიფების ერთმანეთთან შესადარებლად საჭიროა, რომ ტექსტი მკითხველს თვალწინ ჰქონდეს. ერთმანეთთან შედარება აპოკრიფებისა ხშირად მოგვიხდება, რადგან იგინი ერთმანეთშიაც იყვნენ ნაწილ-ნაწილ შეტანილნი ან შემთხუზველისგან, ანუ მათი გადამწერისგან.

სიმდიდრე აპოკრიფებითა ჩვენში მართლაც განსაცვიფრებელია. მეტადრე უხვად აღმოჩნდა ახალი აღთქმის აპოკრიფები, თუმცა ძველი აღთქმიდანაც საკმარისად მოიპოვება. ამ სიმდიდრეს სჭირს გამოქვეყნიერება ¬დ აღბეჭვდა, რათა მიეცეს მეცნიერებს საშუალება აღნიშნონ გეოგრაფიული სამზღვრები, რომელს შორისაც ტრიალებდა ერთგვარი შინაარსიის აპოკრიფი, გაიბას შემაერთებელი ძაფი ჩვენსა და უცხოთა ლიტერატურათა შორის. თქმა არ უნდა, რომ მომეტებული ნაწილი ჩვენი აპოკრიფებისა ნათარგმნია ძველად ბერძნულიდგან და ბოლოს დროს სომხურით. თავის ადგილას ჩვენ ვეცდებით, როცა კი ლიტერატურა საკითხავისა გვაძლევს პასუხს, უჩვენოთ სამშობლო თვითეული აპოკრიფისა, დრო და დამწერი მისი.

---

## ა პ ო კ რ ი ფ ი.

### წმანდისა ღვთისმშობლისაგან კაცთა ცოდვილთა სატანჯველთა ხილვა.

ინება უბიწომან, ცათა და ქვეყანისა შემოქმედმან, დედამან ქალწულმან მარიამმან ხილვა სატანჯველთა, რომელთა ცოდვისა ძალით დასჯილნი კაცნი იტანჯებიან ფერად-ფერადითა სატანჯველითა და გამოუთქმელითა სალმობითა მოუთმენელითა.

აღვიდა მთასა წმიდასა ზეთის ხილთასა და თქვა: სახელითა მამისათა და ძისათა და წმინდისა სულისათა. გარდამოვედინ ზეცით დიდი იგი მთავარ ანგელოსთა მიხაილ, რათა მითხრას ვითარებანი იმ ყოფითა ცისა და ქვეყანისა შორის მყოფნი და მახილვოს ტანჯვანი ცოდვილთანი და შემდგომად სიტყვისა ამის გარდმოხდა მთავარი იგი ანგელოსთა დასითა ანგელოსთათა და მოწლიედ მოიკითხა ყოვლად წმ. ღვთისმშობელი. ჰრქვა მიხაილს მთავარ ანგელოსსა ყოვლად წმინდამან:

გიხაროდენ, მთავარო, მთავარო ზეცისა მხედრობათაო უხილავისა საბაოთ ღვთით მამისათანა მზრახველო, და ძისა და სულისა მსახურო, რომელი თვალთ შეუდგამისა საყდრისა წინაშე წმიდისა სამებისა მდგომარე ხარ და მის მიერითა ნათლითა აღივსები, გიხაროდენ რომლისა გეგულვების საყვირისა დაცემა და განღვიძება საუკუნითგან დაძინებულთა მკვდართა, გიხაროდენ ყოველთა მთავრობათა მთავარო ზეციერთა მხედარო! მიუგო მიხაილ ქალწულსა მადლობითა და რქვა: ეჰა ცასა ცათასა უმაღლესო და ქერაბინთა უდიდებულესო და უწმინდესო ჩვენ ყოველთა ზეცისასა ჩვენ ყოველთა განწესებულთასაო, შენდა ჯერ არს ქება, შენდა ჯერ არს დიდება და შენდა შვენის ყოველი შესხმა, ამათ რომე აღმატე ცასა და ქვეყანასა და განდიდნა სახელი შენი უფროს ვრცელისა სამყაროსა და იდიდება მარად ის წინაშე მამისა დაუსაბამოსა. ჰრქვა ყოვლად წმიდამან ღვთის მშობელმან: მიჩვენენ, ერისთაო, ყოველნი სატანჯველნი, რომლითა კაცნი ცოდვილნი იტანჯებიან ნათესავნი ქრისტიანეთანი ანუ წარმართთანი.

უბრძანა სახელითა წმიდისათა სამებისათა მიხაილ აღებად პირისა, და ხილვად ჯოჯოხეთს ყოველთა სატანჯველთა.

მაშინ აღაღო ჯოჯოხეთმან პირი თვისი და იხილა ყოვლად წმიდამან ღვთის მშობელმან ურიცხვი სიმრავლე მამათა და დედათა, რომელნი იტანჯებიან მას შინა და იყო ტირილი დიდი და ვაება. ჰკითხა ყოვლად წმიდამან ღვთის მშობელმან: მითხარ, მთავარ ერისთაო, მიხაილ, ვინ არიან ესენი, ანუ რა არის ცოდვა ამათი... მიუგო მიხაილ და ჰრქვა: არიან ყოვლად წმიდაო, რომელთა მამა და ძე და სული არა ჰრწამს და არცა შენ გადიდეს, ამისთვის აქა ესრეთ იტანჯებიან.

იხილა ყოვლად წმიდამან სხვასა ადგილსა ბნელი დიდი და ჰრქვა მიხაილს: რა არის ბნელი ესე? მიუგო მიხაილ:—მთავარნი სატანჯველნი არიან ამას შინა, ყოვლად წმიდაო! ჰრქვა მას ყოვლად წმიდამან:—მნებავს, რათა ვიხილო ესე სატანჯველნი. ჰრქვა მიხაილ:—ვერ შემძლებელ ხარ, ყოვლად წმიდაო, რათამცა იხილო სატანჯველი ამისთვის ესე რომელ მცნება აქვთ მტანჯველთა ამათ უხილავისა მამისა მიერ, რათა არა იხილონ ამათ ნათელი, ვიდრემდის გამობრწყინდეს დიდებით ძე შენი მეორედ. ცეცხლი შეჰსწვიდა მათ. ჰრქვა ყოვლად წმიდამან:—ვინ არიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესენი, ანუ რა არის ამათი ცოდვა? ჰრქვა მას:— ესენი არიან, ყოვლად წმიდაო, ღვთის მშობელო... ჰრქვა ყოვლად წმიდამან:—ჱი უბადრუკნო, ჰრცთით და არა გესმა, გესმა ქადაგება წინასწარმეტყველთა და კვალად ეცათ ბნელი მიერვე ზედა და ჰრქვა მიხაილ: ყოვლად წმიდაო, სადით გნებავს განვიდეთ? ჰრქვა, აღმოსავლეთით და მეყვსეულად წარმოდგეს სერაბინნი და ქერაბინნი და გამოიყვანეს ყოვლად წმიდა ღვთის მშობელი და მოვიდა და იხილა ყოვლად წმიდამან სხვასა ადგილსა სიმრავლე მამათა და დედათა და იტანჯებოდნენ ცეცხლსა შინა, რომელნიმე მკერდამდე და რომელნიმე ფეხებამდენ. ჰრქვა ყოვლად წმიდამან მიხაილს:—ვინ არიან ესენი? ესენი არიან, მიუგო მიხაილმან, რომელნიც სარტყლადმდე სხედან ცეცხლში, რომელთა მამისა და დედისა წყევა მოიღეს, აწ აქა ესრეთ იტანჯებიან. ჰრქვა ყოვლად წმიდამან:—ესენი ვინ არიან, რომელნი მკერდამდინ სხედან ცეცხლსა ამასა შინა? მიუგო ანგელოსმან:— ესენი არიან, ყოვლად წმიდაო, რომელნი ნათლიდედასა სიძვით და არა წმიდებით მეძაობით შეაგინეზენ. უბრძანა ყოვლად წმიდამან:—ესენი ვინ არიან, რომელნი თხემადმდე სხედან ცეცხლსა შინა? ჰრქვა მიხაილ:—ესენი არიან, ყოვლად წმიდაო, რომელნი ხორცსა კაცისასა სჭამდეს. ჰრქვა ყოვლად წმიდამან: ვითარ შესაძლებელ არს ჭამოს კაცმან ხორცი კაცისა? მიუგო ანგელოსმან:—რომელნი უბრალოსა ტყვესა უსამართლოდ ჰყიდდიან და ნავაჭრსა სჭამენ, ესე არს ჭამა ხორცისა კაცისა.

იხილა სხვასა ადგილსა ყოვლად წმიდამან კაცსა მატლნი სჭამდეს ხორცსა მათთა. ჰკითხა ყოვლად წმიდამან მიხაილს:—ესენი ვინ არიან, ანუ რა არს ცოდვა ამათი? ესენი არიან, ყოვლად წმიდაო, მექრთამენი, ვახშის მეძიებელნი.

იხილა ყოვლად წმიდამან სხვასა ადგილსა დედაკაცნი მოკიდებულნი ორთავე ძუძუთა და მხეცნი გამოვიდოდეს პირისაგან მათისა. ჰრქვა ყოვლად წმიდასა: ღვთის მშობელო, ესენი არიან, რომელნი მოვიდოდეს მეზობელთა და ყურის მიპყრობითა ისმენდეს სიტყვათა მათთა და მიერ გამო ახდენენ მრავალსა შფოთსა და ბოროტსა. თქვა ყოვლად წმიდამან, უმჯობეს იყო მათდა თუმცა არა შობილ იყვნენ.

ტიროდა ღვთის მშობელი ფრიად და ეწყალებოდეს იგინი. ჰრქვა ანგელოსმან, დედოფალო, არა გიხილავს დიდნი სატანჯველნი? მაშინ მიიყვანა ყოვლად წმიდა ღვთისმშობელი სხვას ადგილსა და იხილა ღრუბელი ცეცხლისა და მას შინა იყო სიმრავლე დედათა და მამათა და ცეცხლისა ფერნი ვეშაპნი მოეხვეოდეს ასოთა მათთა და დასწვიდეს მათ, ვითარცა კლერტსა ხმელსა. სულთ ითქვნა ყოვლად წმიდამან ღვთის მშობელმან და ჰრქვა ანგელოსსა;—ვინ არიან ესენი, ანუ რა არის ცოდვა ამათი? ჰრქვა მიხაილ: ესენი არიან, ყოვლად წმიდაო, რომელნი კვირიაკესა ქვე წვანან და ეკკლესიად ლოცვად და წირვად არა წავლენ.

იხილა ყოვლად წმიდამან სხვასა ადგილსა ძელი რკინისა ეკიდა ენათა მათთა. ჰკითხა ყოვლად წმიდამან ანგელოსსა:—რა არის ცოდვა ამათი? ესენი არიან, ყოვლად წმიდაო, ცრუნი, უკან მზრახველნი.

იხილა ყოვლად წმიდამან სხვასა ადგილსა კაცნი ფრჩხილითგან ტერფისა თხემადმდე სისხლითა შელებულიყო და ენა მათი შეკრულიყო ალითა ცეცხლისათა და ვერ შეძლებულ იყვნენ სიტყვისა გებად. ტიროდა ყოვლად წმიდა ღვთის მშობელი და თქვა: უფალო შეგვიწყალენ. მაშინ მოვიდა ანგელოსი, რომელი სცვიდა მათ და განჰხსნა ენა კრულებისა მათისა. ჰრქვა მიქაელს ყოვლად წმიდამან:—ვინ არიან ესენი, ანუ რა არის ცოდვა მათი, რომელ ესრეთ იტანჯებიან საწყალობელნი ესე? ჰრქვა მიქაილმა ყოვლად წმიდასა: ესენი არიან, ყოვლად წმიდაო, წმიდა ეკკლესიის შემცოდნი. ჰრქვა ყოვლად წმიდამან: ვითარცა ნებავს, ეგრეცა იყავნ, ხოლო მათ დაეცათ მათივე სატანჯველი იგი.

ალ. ხახანაშვილი.

(გაგრძელება იქნება).

# სახელმძღვანელო, საყურადღებო, საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება.

---

## რისაგან შესდგება ფუტკრის გუნდი ანუ ნ ა ყ ა რ ი?

ფუტკრის ნაყარს შეადგენს დედო, მონავარნი (მამალი ფუტკრები) და მუშა ფუტკრები.

### დ ე დ ო.

დედო განირჩევა მონავრისა და მუშა ფუტკრისაგან მეტად წვეტიანი, ვიწრო და გრძელი ტანით, აგრეთვე მოგრძო ფეხებით. ის თითქმის ერთი ორად მეტია დანარჩენ ფუტკრებზე. ფრთები ტანის შედარებით მოკლე აქვს, ფერად შავია, უფრო ხშირად ყვითელი, ქვემოდამ აქვს წითელი სატრყულები. მთელი ტანი უბრჭყვინავს. როგორც ერთად ერთი, სრულიად დასრულებული (დამთავრებული) დედალი ფუტკარი, მხოლოდ მარტო ის სდებს კვერცხებს სკაში. მას უფრო მოღუნული ისარი (საკბენი იარაღი) აქვს, ვინემ მუშა ფუტკრებს და ხმარობს მას მხოლოდ თავისავე დების—დედოების წინაალმდეგ. ყრის დროს ფუტკრები არ მიუშვებენ ერთმანეთზედ, თორემ მაშინვე მოკლავს ღონიერი დედო უფრო სუსტს და ახალგაზდას. თვით ბუდეც (სადედოვე), რომელშიაც ის იზრდება, განსხვავდება ფორმით, სიდიდით და მდებარეობით იმ ბუდეებისაგან, რომლებშიაც იზრდება მონავარი და მუშა ფუტკარი. სადედოვე, როგორც ფორმით, აგრეთვე სიდიდით ძლიერ წაავავს მუხის რკოს და ჰკიდია თითქმის თავდაღმა ფიჭის ძირა ნაწილებზე ანუ გვერდებზე.

სადედოვები არიან ბუნებითი და შემთხვევითი. პირველს აკეთებენ ფუტკრები, როდესაც ჰფიქრობენ ყრას (გაყოფას), და ყოველთვის განაპირა ადგილას, მეორეს—უეცარ დაობლების დროს. პირველ შემთხვევაში მუშა ფუტკრები დედოს უმზადებენ ბუდეს და ადებინებენ შიგ კვერცხს ახალი დედოსათვის. მეორე შემთხვევაში კი სადედოეებს აკეთებენ, სადაც კვერცხებია, ანუ ბარტყები. ამისთანა შემთხვევაში ფუტკრებს შეუძლიანთ გამოიყვანონ ახალი დედო თვითეული ფუტკრის კვერცხისაგან, მაგრამ თუ კვერცხი აღარ არის—ბარტყებიდამაც, მხოლოდ იგინი არ უნდა იყვნენ სამ დღეზედ მეტი. წინაალმდეგ შემთხვევაში დედო იქმნება პატარა, უსრული და ნაკლებად ნაყოფიერი. კვერცხების, ანუ ბარტყების ამორჩევის შემდეგ დედოს გამოსაყვანად მათ გარშემო სპობენ სხვა ბუდეებს; მას კი აფართოებენ და ადიდებენ. შემდეგ დაუწყებენ კვებას სადედოვე მატლს (ბარტყს) სხვანაირი საჭმელით (რძის მსგავსია), რომლის საშუალებით მას უსრულდება სანაშენო ასოები. ამ სახით უბრალო ფუტკრის ბარტყი იქცევა დედოთ. თვითეული კვერცხიდგან მესამე დღეს იჩეკება მატლი, რომელიც უხვად იკვებება ექვსი დღის განმავლობაში. მეცხრე დღეს კვერცხის დადებიდგან ბარტყიან ბუდეებს ფუტკრები თავს ულესვენ სანთლით; მეთექვსმეტე დღეს ამისთანა ბუდიდგან გამოსჭრის და გამოძვრება სრულიად დასრულებული დედო, თუ რაიმე მიზეზმა მისი გამოსვლა არ შეაჩერა რამოდენიმე დღეს.

რადგანაც ერთ სკაში ორის, ანუ რამოდენიმე დედოს ერთად ცხოვრება არ შეიძლება, ამისათვის თვითეული ახალგაზდა დასრულებული, მაგრამ ჯერეთ კიდევ თავის ბუდიდგან გამოუსვლელი დედო ძალიან გაბრთხილებულია და სანამ ბუდეს მიატოვებდეს, სცდილობს „კვა, კვა, კვაის“ ძახილით გაიგოს, სხვა დედო ხომ არ არის სკაში. როდესაც არაეითარ პასუხს არ მიიღებს, ის სჭრის სარაჭის ბუდის სახურავს და ძვრება იქიდგან. მაგრამ თუ იმის კითხვითი ხმებზე მოისმა «ტიუ, ტიუ, ტიუ» სკაში მყოფი დედოსაგან, ის გაიკეთებს სახურავში პატარა ჭუჭუტანას, რომ იქიდგან ფუტკრებმა საჭმელი აძლიონ და იცდის იმ დრომდე, სანამ ძველი დედო არ გაიყოლიებს თავის მომხრე ფუტკრებს და არ გავა სკიდგან ნაყარით.

თუ რაიმე მიზეზისა გამო ფუტკრებმა გადაკვეთეს ყრა, იმ შემთხვევაში ისინი აძლევენ სკაში მყოფ დედოს ნებას, რომ გამოსჭრას გვერდიდგან სადედოვები და გამოჰკლას თავისი გესლიანი ისრით შიგ მყოფი ახალი დედოები.

ძალიან საჭიროა ცოდნა, როდის გამოვიდა ბუდიდგან პირველი დედო, რომ ისარგებლოთ ჯერეთ კიდევ გამოუსვლელი ახალი დედოებით, არ გააწყვეტინოთ იგინი და მოიხმაროთ თავის დროზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეხუთე ან მეექვსე დღეზე შემდეგ ბუდიდგან გამოსვლისა (ჩვეულებრივ დილის თერთმეტიდან ნაშუადღევის ორ საათამდის), თუ, რასაკვირველია ხელს უწყობს ამინდი, ახალგაზრდა დედოფალი გამოფრინდება სკიდგან, რომ ჰაერში, ხშირად სკის ახლოს, შეეყაროს მონავარს და დაიმამლოს. ამნაირი საქორწინო ფრენა დედოსი განიმეორება მანამდის, სანამ არ შესრულდება მამლობა. ცუდი ტაროსი მიზეზია ხშირად საქორწინო ნავარდობის დაგვიანებისა. თუ უამინდობის, ანუ მონავრების ნაკლულევანების გამო მამლობა არ შესრულდა ექვსი კვირის განმავლობაში, მის შემდეგ დედო დაიწყებს მხოლოდ მონავრის კვერცხების დებას და სკა შეიქნება სრულებით უვარგისი, იმამლება დედო თავის სიცოცხლეში ერთჯერ და თუ მან უკვე დაიწყო კვერცხების დება, მას შემდეგ მამლობა აღარ შეიძლება. დამამლულ დედოს ეძლევა ბუნებისაგან ნიჭი როგორც მონავრის, ისე მუშა ფუტკრის კვერცხის დებისა. უმამლო კვერცხიდგან სტყდება მონავარი, ნამამლიდგან — მუშა ფუტკარი. კვერცხების დადების დროს დედო ათვალიერებს ბუდეებს, რომ შიგ არ იყოს კვერცხი ან რაიმე უწმინდურება. წინააღმდეგ შემთხვევაში ის უკან იწევს და აწმენდინებს მუშა ფუტკრებს. შემდეგ თვისი უკანა გრძელი ფეხებით ებჯინება ბუდის კიდეებს, ჰყოფს შიგ ღრმად ტანს და სდებს კვერცხს, რომელიც ბოლოთი მიეკვრება ბუდის ძირზედ, რამოდენიმედ თავდაღმა დაკიდებული.

კვერცხის დებას დედო წყებულობს მესამე დღეს შემდეგ მამლობისა (შეუღლებისა). მეტად ხშირი კვერცხის დებაა აპრილიდამ ივლისამდე, ასე რომ ამ დროს დედოს თავისუფლად შეუძლია დასდოს ერთს დღე-ღამეს სამი ათასი კვერცხი, თუ ნაყრის ძალა და ამინდები ხელს უწყობენ.

### მონავარი.

მონავარი არის მამალი ფუტკარი. იგი განირჩევა დედოსა და მუშა ფუტკრისაგან მსხვილი, მოუქნელი ტანით, მრგვალი თავით და დიდი თვალებით, მოსაგერებელ შხამიან იარაღს სრულიად მოკლებულია. მონავრების გასაშენებლად დედო სდებს უმამლო კვერცხებს, რომლებიდგანაც იჩეკებიან და სრულდებიან ოც-და-ოთხის დღის განმავლობაში. მონავრისათვის ფუტკრები აკეთებენ საკუთარს, უფრო დიდს ბუდეებს, მაგრამ თუ რაიმე მიზეზისა გამო მისი კვერცხი ჩაიდვა უბრალო ფუტკრების ბუდეში, მაშინ ის გამოვა ტან მოჩჩილი, მამლობისათვის ამით კი არა დააკლდება რა. ერთად-ერთი მიზანი და დანიშნულება მონავრის არსებობისა არის დედოს განაყოფიერება (დამამლვა) და რადგან დამამლვა დედოსათვის ერთჯერ არის მხოლოდ საჭირო მთელს მის სიცოცხლეში, დანარჩენები, გარდა ერთისა, სრულიად უსარგებლონი არიან სკისათვის. ამისათვის გონიერული მეფუტკრეობა მოითხოვს, რომ მათი რიცხვი, როგორც მუქთა-მჭამლებისა, შემცირდეს. სრულიად მოსპობა კი მავნებელი იქნება.

როდესაც თაფლის მოგროვება დასრულდება და ფუტკრები აკვეთენ (დასტოვებენ) ნაყრობის სურვილს, დადგება დრო მონავრების გაწყვეტისა. ფუტკრები მათ აღარ მიუშვებენ თაფლთან, აკვეცენ ფრთებს, აგდებენ კარში და ამნაირად ჰკლენ შიმშილით. უდედო სკებში კი არ ერჩიან მათ.

### მუშა ფუტკარი.

მუშა ფუტკრები არიან დაუსრულებელი უნაყოფო დედლები, ტანით დედოებზე და მონავრებზე ნაკლები, რადგანაც გაზრდილი არიან პატარა ბუდეებში და არ არიან ისე უხვად ნაკვები, როგორც დედო. იჩეკებიან იგინი დამამლული კვერცხებიდგან და სრულდებიან ოცს ანუ ოც-და-ერთი დღის განმავლობაში, თუ კარგი ამინდები შეხვდათ და თუ ცუდი, — მაშინ ეს ხანი რამოდენიმე დღეს გაგრძელდება. ყოველიფერ საქმეს სკაში და სკის გარედ აკეთებენ მუშა ფუტკრები. უმცროსები, ე. ი. ბუდიდგან ახლად გამოსული ფუტკრები აზავებენ სკაში მოტანილ თაფლს და ყვავილის ფქვილს, ამზადებენ რძეს, ჰკვებენ ბარტყებს და დედოს, სწმენდენ კვერცხების ჩასადებ ფიჭებს, უვლიესენ მათ თავებს და აშენებენ ახლებს იმ დროს, როდესაც თავნი (ხნიერნი) ფუტკრები სწმენდენ სკას, იცავენ მას მტრებისაგან, მოაქვსთ ტყე-მინდვრებიდგან თაფლი და ყვავილის ფქვილი, წყალი, დინდგელა (წეპო), რომლითაც გლესენ ყოველგვარ ჯურჯუტანებს და ნაბზრებს სკაში. ყვავილებიდგან წვენის ამოსაწუწნად მუშა ფუტკარს აქვს გრძელი დინგი, რომლითაც მას ისხამს ჩინჩახვში; ყვავილის ფქვილის მოსაგროებლად მას მთელი ტანი დაფარული აქვს ღინღლით (ბანჯგვლით); ღინღლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგან ფქვილის ჩამოსაწმენდად ფეხებზედ აქვს მოწყობილი საგველები; მის დასაგროვებლად—უკანა ფეხებზედ ჩაღრმავებული ადგილებია. ტანის ბოლოზედ მას აქვს გესლიანი ისარი, რომელსაც ხმარობს ხიფათის დროს და თავის თავს სწირავს მოძმეთა დღეგრძელობასა და მშვიდობიანობას, რადგანაც კარგად იცის, რომ თვის ისრის ხმარების შემდეგ ის არ გაგადარჩება სიკვდილს.

ხანდისხან ხდება, რომ მუშა ფუტკრები სდებენ კვერცხებს და თუმცა მამლობა არ მომხდარა, მაინც იქიდგან იჩეკებიან ცოცხალი არსებანი—მონავრები. კვერცხის მადებელი მუშა ფუტკრები ჩნდებიან უდედო სკებში. როდესაც მუშა ფუტკრები დედოს დაკარგვის ანუ სიკვდილის შემდეგ ვერაფერ საშუალებას ვერ ნახულობენ გამოიყვანონ ახალი დედო, ირჩევენ ერთ ფუტკართაგანს, დაუწყებენ მას კვებას დედოს საჭმელით, რის გამო მას რამოდენიმედ დაუსრულდება საშენებელი ასოები და ადებინებენ კვერცხებს. მაგრამ ის იმოდენად მაინც ვერ დასრულდება, რომ დაიმამლოს და ნამდვილი დედო შეიქმნეს. ამისთანა დედოები აშენებენ მხოლოდ მონავრებს და რასაკვირველია, უვარგისნი არიან.

## განსაწმენდელი და ბინის დასასწავლი ნავარდობა.

ფუტკარს ადვილად შეუძლია რამოდენიმე ხანს ტანში შეინახოს ნაკელი, თუ დრო ვერ იშოვა განწმენდისა ზამთარში სიცივების გამო, მაგრამ როდესაც დადგება თბილი ამიდები ან თვითონ ზამთარში გამოერევა თბილი დღეები (7—8 გრადუსი სითბო), ისინი გამოვლენ კარში და დაიწყებენ სკის ახლოს ფრენას. ამას უწოდებენ განსაწმენდელ ნავარდობას, რადგანაც ამ დროს ისინი იწმინდებიან, თავისუფლდებიან მუცელში ნაგროვი ნაკელისაგან. ამ ბუნების კანონს არ ემორჩილება მხოლოდ დედო, რომელიც არ იღებს მონაწილეობას განსაწმენდელ ნავარდობაში, მის ნაკელს სჭამენ მუშა ფუტკრები. ზამთარში ფუტკრები გაიწმინდებიან რამოდენჯერმე, მაგრამ ისიც შეიძლება, რომ ყინვების გამო ერთჯერაც ვერ იშოვიან ნავარდობის დროს, მაგრამ ეს მათ არ ავნებს.

საშოვრის დაწყებისას ფუტკრებს ხშირად ხედავთ სკების წინ მონავარდეს. ესენი რამდენიმე ხანს ტრიალებენ სკის ახლოს, რომ ბინა არ დაეკარგოს და შემდეგ გაჰქრებიან თქვენი თვალიდამ. ნუ იფიქრებთ, რომ თუ ფუტკარმა ერთხელ დაათვალიერა თავის ბინა, რაიმე მიზეზით იმან ის დაჰკარგოს. მაგრამ თუ თავისი ბინა რიგიანად არ დაინიშნა და სხვა სკაში შეძვრა, იქ იმას მოელის სიცოცხლის გამოსალმება. ესეც არის, რომ თუ სხვის სკაში ფუტკარი ცარიელი არ შევიდა, არ ერჩიან.

## ყ რ ა.

(გაყოფა ფუტკრის ოჯახისა რამოდენიმე ოჯახად).

თუ ფუტკრის რაოდენობამ სკაში იმოდენად იმატა, რომ მთელი სკა მით გაივსო და ბინა ძალიან მოხუთული შეიქმნა თან-და-თან მოზარდე ოჯახისათვის, მაშინ ერთი ნაწილი ფუტკრებისა, როგორც ძველის, ისე ახლებისა, გამოეცლებიან სკას და თან გამოიყოლებენ ძველ დედოს და მოეხვევიან, უფრო ხშირად სკის ახლოს ხის ტოტს, ანუ სხვა რაიმე საგანს, ყურძნის მტევანივით. ამას უწოდებენ ყრას, ანუ გამოსვლას სკიდან ერთი მთელი ოჯახისას.

ყრის მოახლოვების ნიშნები არიან: დადება სამონავრე კვერცხებისა და სადედოვების გაკეთება. მაგრამ სანამ ფუტკრები ჯერედ კიდევ აგრძელებენ თავის ფიჭებს და რიგიანად ვერ ფარვენ, მათ ყრას ნუ ელი; როდესაც ფუტკრები გუნდათ დაეხვევიან პირველ გაკეთებულ სადედოვებს, მაშინ იმედი გქონდეს ყრისა. ნაყარის გამოსვლის დროს თვლებთან მჯდომარე ფუტკრები უეცრად შეცვივდებიან შიგნით, რომ თან წამოიღონ თაფლი და მოემზადონ ხანგრძლივი მოგზაურობისათვის. შემდეგ სიჩქარით გამოცვივდებიან თვლებიდგან, დაიწყებენ დიდის ხმაურობით სკის ახლოს ჰაერში ტრიალს და რამოდენიმე ხნის შემდეგ ჩამოეკიდებიან ერთს ადგილას, რომ ყველამ მოიყარონ თავი, დაისვენონ და გაემგზავრონ ბინის საძებნელად.

(გაგრძელება იქნება).

**შინაარსი:** ვაი თქვენდა, ფარისეველნო და თვალმაქცნო!—ბათუმის სამზრუნველო კომიტეტის გამო.—კიდევ ორიოდე სიტყვა სკოლაზედ.—მცირე შენიშვნა.—წერილი რედაქციის მიმართ.—მოშაირეს.—ნეტარ არს ადამიანი (ლექსნი).—ახალი ამბები და მენიშვნები.—ქართული აპოკრიფები.—რისაგან შესდგება ფუტკრის გუნდი ანუ ნაყარი?

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. *Доз. цензурою. Кутаисъ, 14 Октября 1893 г.*
Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе) Въ Кутаисѣ, помѣщ. въ д. бр. Ханановыхъ на Нѣмецкой ул.